"დომუს დეველოპმენტი"

"გეოგრაფიკი"

თამარაშვილის ქ. №13

განაშენიანების რეგულირების გეგმა



თბილისი 2013

დამკვეთი	**„დომუს დეველოპმენტი“**
შემსრულებელი	**გიდ და დზ საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკი“**
დირექტორი	გ.გოცირიძე
მთ. არქიტექტორი	კ.ამირეჯიბი
არქიტექტორი	გ.ნიკოლაიშვილი
კომპიუტერული კარტოგრაფია	ს.კენკებაშვილი
საინჟინრო გეოლოგია	ზ. კვაჭანტირაძე
ვერტიკალური დაგეგმარება	გ.კელაპტრიშვილი

ქ. თბილისის მერიის
საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური



ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, თამარაშვილის ქ. 13-ში (საკად. კოდი №01.10.16.004.137, №01.10.16.004.134, №01.10.16.004.133, №01.10.16.004.110, №01.10.16.004.138) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეცვლა-დამატებით დავალება



№ 1659

თარიღი 31.10.11

თბილისი 2011 წ.

ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) გეგმარებითი დავალების შინაარსი:

I. გეგმარებითი დავალების გაცემის საფუძველი.
II. ტერიტორიის სამშენებლო განვითარების ზოგადი პირობები, მოთხოვნები და რეკომენდაციები.
III. ტერიტორიის სამშენებლო განვითარების პარამეტრები.
IV. განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) შესათანხმებლად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი.
V. შენიშვნები.
VI. დამატებითი მოთხოვნები.

დანართი:

1. დამკვეთის/მენაშენეს განაცხადი.
2. საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო რუკა და გეგმა;
3. საპროექტო ტერიტორიის სიტუაციური გეგმა და ორთოფოტო არსებული მდგომარეობით;
4. საპროექტო ტერიტორიის ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური გეგმა ნაბეჭდი (მ. 1:500) და მისი ელექტრონული ვერსია. ელექტრონული ვერსია უნდა მოიცავდეს ტერიტორიის ამსახველ ყველა კარტოგრაფიულ ელემენტს და წარმოდგენილი იყოს შესაბამისი კარტოგრაფიული ფენების ასახვით **Shapefile**-ის ან **future Class**-ის ფორმატში და მათი გაფორმების **mxd** გაფართოების შესაძლებლობით. საკოორდინაციო სისტემა უნდა შეესაბამებოდეს **WGS 1084 UTM Zone 38N**-ს.
5. საპროექტო ტერიტორიის მწვანე ნარგავების მონაცემები (შესაძლებელია ტოპო-გეოდეზიურ რუკაზე დატანილი სახით);
6. საპროექტო ტერიტორიაზე არსებული წყალსადენის, კანალიზაციის, სანიაღვრე წყლების, ელექტრომომარაგებისა და აირმომარაგების ძირითადი და ლოკალური ქსელების მონაცემები (შესაძლებელია ტოპო-გეოდეზიურ რუკაზე დატანილი სახით);
7. საპროექტო ტერიტორიის ამსახველი ფოტოსურათები;
8. "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის" №40 (19.10.11წ) სხდომის ოქმიდან ამონარიდი.;
9. ტერიტორიის გრგ-ს საპროექტო წინადადება.

ქ. თბილისის მერიის
საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

2011 წლის —— ——

დასაპროექტებელი ობიექტი:	საცხოვრებელი კომპლექსი
ობიექტის მისამართი/ ადგილმდებარეობა:	ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი თამარაშვილის ქუჩა 13

(საკად. კოდი №01.10.16.004.137, №01.10.16.004.134, №01.10.16.004.133
№01.10.16.004.110, №01.10.16.004.138)

განმცხადებელი:	შპს "ჰეფესტო"-ს დირექტორი ამირან შღენტი

შემსრულებელი:	ა. შაიშმელაშვილი	2011 წლის 28 ოქტომბერი	გვ. №1

გრგ-ს გეგმარებითი დავალება	განმცხადებელი: შპს "ჰეფესტო"-ს დირექტორი ამირან ჭლენტი საპროექტო ობიექტი: საცხოვრებელი კომპლექსი ობიექტის/ნაკვეთის მისამართი/მდებარეობა: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, თამარაშვილის ქუჩა 13 აღგილმდებარეობა: საკად. კოდი №01.10.16.004.137, №01.10.16.004.134, №01.10.16.004.133, №01.10.16.004.110, №01.10.16.004.138;

I. გეგმარებითი დავალების გაცემის საფუძველი

- დამკვეთის/მენაშენეს განაცხადი: 12/137412-13 (17.10.2011წ.)
- საპროექტო ტერიტორიის საზღვრებში მოქცეული საკადასტრო ერთეულების შენიკალური კოდები: №01.10.16.004.137, №01.10.16.004.134, №01.10.16.004.133, №01.10.16.004.110, №01.10.16.004.138
- გრგ-ს საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი: 7770.00 კვ.მ
- სხვა დამატებითი დოკუმენტაცია: - ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი: №40 19.10.2011წ.

შემსრულებელი:	ა. შაიშმელაშვილი	2011 წლის 21 ოქტომბერი	გვ. №2

 ბრგ-ს გეგმარებითი დავალება	განმცხადებელი:	შპს "ჰეფესტო"-ს დირექტორი ამირან ჟღენტი
	საპროექტო ობიექტი:	საცხოვრებელი კომპლექსი
	ობიექტის/ნაკვეთის მისამართი/მდებარეობა:	ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, თამარაშვილის ქუჩა 13
	აღგილმდებარეობა:	(სააღრ. კოდი №01.10.16.004.137, №01.10.16.004.134, №01.10.16.004.133, №01.10.16.004.110, №01.10.16.004.138;)

II. ტერიტორიის სამშენებლო განვითარების ზოგადი პირობები, მოთხოვნები და რეკომენდაციები

1.	ტერიტორიის დახასიათება და ქალაქთმშენებლობითი განვითარების შესაძლებლობები:	- ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით, დამტკიცებული „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა"-ის მიხედვით ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, თამარაშვილის ქუჩა 13-ში არსებული საპროექტო ტერიტორია მდებარეობს საზოგადოებრივ საქმიან ზონა 1 (სსზ-1)-ში კოეფიციენტებით კ1=0.7, კ2=3.5, კ3=0.1, სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)-ში კოეფიციენტებით კ1=0.2 და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)-ში. - საპროექტო ტერიტორიაზე დასაგეგმარებელი ობიექტების ფუნქციები უნდა განისაზღვროს "ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" შესაბამისად. გრგ დავალების გაცემის საფუძველია: - შპს "ჰეფესტო"-ს დირექტორის ამირან ჟღენტის №12/137412-13 17.10.11წ. განცხადება. - ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომაზე (სხდომის ოქმი №40 19.10.11წ) წარდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო წინადადება. - გათვალისწინებული იქნეს ქალაქ თბილისი ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის რეკომენდაციები;
2.	შენობა-ნაგებობის არქიტექტურულ-კომპოზიციური გადაწყვეტა და კავშირი მიმდებარე გარემოსთან:	- საპროექტო ობიექტები განთავსდეს საკადასტრო რუკით დადგენილ საზღვრებში. - ტერიტორიასთან კავშირი განხორციელდეს არსებული გზების გამოყენებით. - წარმოდგენილ იქნას პროექტის შემადგენლობაში შემავალი ცალკეული ობიექტებისთვის მიწის ნაკვეთების გამიჯვნის სქემა; - სქემაში თითოეული მიწის ნაკვეთი უზრუნველყოფილი იქნას მისასვლელი სამანქანო გზით. - საჭიროა ქუჩათა ქსელის გამართული სქემის გათვალისწინება ახალ გზასთან და მიმდებარე საკადასტროებთან მიმართებაში, ტერიტორიასთან შესვლა-გამოსვლა განხორციელდეს ისე, რომ არ მოხდეს საპროექტო ტრანზიტულ მაგისტრალზე (საბურთალოს ქუჩისა და თამარაშვილის ქუჩის დამაკავშირებელი გზა) მოძრაობის შეფერხება.
3.	მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების დანგრევა და გატანა ან მათი სივრცით-გეგმარებითი მოწყობის შეცვლა:	- საჭიროების შემთხვევაში მოხდეს ტერიტორიაზე არსებული ნაგებობების დაშლა და ტერიტორიიდან გატანა. - დემონტაჟის შეთხვევაში იპოთეკარის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა.

შემსრულებელი:	ა. შაიშმელაშვილი	2011 წლის 28 ოქტომბერი	გვ. №3

გრგ-ს გეგმარებითი დავალება	განმცხადებელი: შპს "პეფესტო"-ს დირექტორი ამირან ჟღენტი საპროექტო ობიექტი: საცხოვრებელი კომპლექსი ობიექტის/ნაკვეთის მისამართი/მდებარეობა: ადგილმდებარეობა: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, თამარაშვილის ქუჩა 13 (საკად. კოდი №01.10.16.004.137, №01.10.16.004.134, №01.10.16.004.133, №01.10.16.004.110, №01.10.16.004.13[illegible])

4	მოთხოვნები იმ ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების დაცვაზე, რომელთა ინტერესებსაც ეხება ტერიტორიის სამშენებლო განვითარება (საკადასტრო ერთეულების გაერთიანება-შერწყმა ახალი სერვიტუტების წარმოქმნა, იზოლაცია, ბუნებრივი განათება, ჩაუხედავობა და სხვა):	- განისაზღვროს ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით, ქვეყანაში და დედაქალაქში დადგენილი სამართლებლივ-ნორმატიული მოთხოვნების საფუძველზე. - დაცული იქნეს მიწის ნაკვეთის საზღვარზე (მიჯნაზე) სამშენებლო წესებისა და ნორმების მოთხოვნები; - ტოპო გეგმა (მ 1:500) ხელმოწერილ უფლებამოსილი პირის მიერ, საინჟინრო კომუნიკაციების დატანით (პირობითი აღნიშვნების მითითებით). - წარმოდგენილი იქნეს განახლებული საკადასტრო გეგმა. - მესაკუთრეების შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა; -შენობების განთავსების ადგილები განისაზღვროს ზოგადი საინჟინრო გეოლოგიური დასკვნების შესაბამისად, რომელიც წარმოდგენილი უნდა იქნეს განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმებისას. - საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ტერიტორია შემოისაზღვროს დეკორატიული ღობით და მოეწყოს დაცვისთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობა;
5	ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების შენარჩუნება, ტერიტორიის კეთილმოწყობა და გარემოს დაცვის პირობები:	- მაქსიმალურად დაცული და შენარჩუნებული იქნეს მიწის ნაკვეთზე არსებული ხე-ნარგავები, ხოლო მათი მოჭრის ან გადანერგვის შემთხვევაში, საკითხი შეთანხმდეს ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურთან; - წარმოდგენილი იქნეს საპროქტო ტერიტორიის კეთილმოწყობის სქემა; - დამუშავებული იქნეს ტერიტორიის დენდროლოგიური სქემა; -გეგმის დამუშავებისას გათვალისწინებული იქნეს გარემოსდაცვითი და სანიტარული კანონმდებლობის მოთხოვნები. - გამოიყოს ტერიტორია ნაგვის ყუთების განსათავსებლად; - მოეწყოს პანდუსები უნარშეზღუდული პირების ეტლების გადასაადგილებლად. - საჭიროებისამებრ გათვალისწინებული ჲქნას საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა ტერიტორიის ფარგლებში (სკვერი, ბულვარი, ბავშვთა სათამაშო მოედანი, სპორტული მოედანი);
6	ტერიტორიის და მისი გეგმარებითი არეალის საინჟინრო-კომუნალური, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა:	- განისაზღვროს ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით; - განაშენიანება უზრუნველყოფილი იქნეს საინჟინრო, სატრანსპორტო, სოციალური და სხვა სახის ინფრასტრუქტურით. - კომუნიკაციების არსებობის შემთხვევაში, დაცული იქნეს მათთან დაცილების სამშენებლო ნორმები. ხოლო მათი გატანის აუცილებლობის შემთხვევაში საკითხი შეთანხმდეს შესაბამის მფლობელებთან. - ღია და მიწისქვეშა ავტოსადგომები განთავსდეს საკადასტრო ერთეულით განსაზღვრულ საზღვრებში. - ღია და მიწისქვეშა ავტოსადგომების ჯამური რაოდენობა უნდა აკმაყოფილებდეს რეგლამენტის მოთხოვნებს

შემსრულებელი:	ა. შაიშმელაშვილი	2011 წლის 24 ოქტომბერი	გვ. №4

გრგ-ს გეგმარებითი დავალება	განმცხადებელი:	შპს "ჰეფშესტო"-ს დირექტორი ამირან ქლენტი
	საპროექტო ობიექტი:	საცხოვრებელი კომპლექსი
	ობიექტის/ნაკვეთის მისამართი/მდებარეობა: ადგილმდებარეობა:	ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, თამარაშვილის ქუჩა 13 (საკად. კოდი №01.10.16.004.137, №01.10.16.004.134, №01.10.16.004.133, №01.10.16.004.110, №01.10.16.004.138;)

III. ტერიტორიის სამშენებლო განვითარების პარამეტრები

1.	მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობი:	7770.00 კვ.მ		
2.	არსებული ტერიტორიის ფუნქციური ზონის სახეობა:	საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 სარეკრეაციო ზონა 2 სატრანსპორტო ზონა 1		
3.	- ტერიტორიის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ1: - ტერიტორიის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ2: - ტერიტორიის გამწვანების კოეფიციენტი კ3:	სზ-1 0.7 3.5 0.1	რზ-2 0.2 - -	ტზ-1 - - -
4.	ტერიტორიის საპროექტო ფუნქციური ზონების სახეობა:	განისაზღვროს ტერიტორიის გრგ-ს პროექტით.		
6.	განაშენიანების სივრცით-გეგმარებითი სახეობა:	საცხოვრებელი, საზოგადოებრივი		
7.	ა) განაშენიანების რეგულირების ხაზები (წითელი ხაზები): ბ) განაშენიანების სავალდებულო ხაზები (ლურჯი ხაზები):	ა)განისაზღვროს გრგ-ს პროექტით ბ)განისაზღვროს გრგ-ს პროექტით		
8.	ა) ავტომანქანების ღია სადგომების რაოდენობა: ბ) ავტომანქანების მიწისქვეშა სადგომების რაოდენობა:	განისაზღვროს ტერიტორიის გრგ-ს პროექტით.		
9.	კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობა (საბავშვო ბაღა და ბაღი; საჯარო სკოლა და სპორტული ნაგებობა სკოლაში; კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტები):	განისაზღვროს ტერიტორიის გრგ-ს პროექტით.		
10.	გეგმარებითი შეზღუდვები:	-		
11.	განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლე/სართულიანობა:	განისაზღვროს გრგ-ს პროექტით.		

შემსრულებელი:	ა. შაიშმელაშვილი	2011 წლის 23 ოქტომბერი	გვ. №5

გრგ-ს გეგმარებითი დავალება	განმცხადებელი: შპს "ჯეფსტო"-ს დირექტორი ავირან ჭლენტი საპროექტო ობიექტი: საცხოვრებელი კომპლექსი ობიექტის/ნაკვეთის მისამართი/მდებარეობა: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, თამარაშვილის ქუჩა 13 აღგილმდებარეობა: (საკად. კოდი №01.10.16.004.137, №01.10.16.004.134, №01.10.16.004.133, №01.10.16.004.110, №01.10.16.004.138;)

IV. განაშენიანების რეგულირების გეგმის (შემდეგში – გრგ) შესათანხმებლად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

1.	განაცხადი	+
2.	ტერიტორიის გრგ-ს გეგმარებითი დავალება	+
3.	საკადასტრო რუკა და საკადასტრო გეგმა	+
5.	ზოგადი გეოლოგია	+
6.	ტოპო-გეოდეზიური ანაზომი საპროექტო ტერიტორიის საზღვრებითა და მომიჯნავე ინფრასტრუქტურის ჩვენებით, მ. 1:500	+
7.	სიტუაციური გეგმა, მ1:2000 ან მ. 1:1000	+
8.	გრგ-ს ტექსტური ნაწილი: გრგ-ს აღწერა, განმარტებითი ბარათი, განხორციელების ეტაპები და რიგითობა	+
9.	განაშენიანების რეგულირების გეგმა, მ. 1:500	+
10.	ტერიტორიის შეზღუდვითი ზონირების დეტალური რუკა მ. 1:500	+
11.	განაშენიანების რეგულირების გეგმის ფრაგმენტ(ებ)ი (საჭიროების შემთხვევაში)	+
12.	განშლები და ჭრილები, მ. 1:500 ან მ. 1:1000	+
13.	ფუნქციური ზონირების რუკა	+
14	მიწის ნაკვეთების განაწილების რუკა (გამიჯვნის სქემა)	+
15.	ავტოტრანსპორტისა და ქვეითთა მოძრაობის სქემა, მ. 1:500 ან მ. 1:1000	+
16.	ტერიტორიის ვერტიკალური დაგეგმარება, მ.1:000 ან მ.1:200, მ.1:500	+
17.	მასშტაბში ტერიტორიაზე ჩასატარებელი ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების ჩამონათვალი და გეგმა, მ. 1:1000 ან მ. 1:500 (საჭიროების შემთხვევაში)	+
18.	გრგ-ს ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების 3D ელექტრონულ-ციფრული მაკეტირება	+
19.	საინჟინრო კომუნიკაციების გადაწყობის ამსახველი გეგმა, მ1:500 ან მ1:1000 (საჭიროების შემთხვევაში)	+
20.	ტერიტორიის ისტორიულ-კულტურული კვლევა (საჭიროების შემთხვევაში)	-
21.	არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დასკვნა (საჭიროების შემთხვევაში)	-

\+ გრგ-ს პროექტის შესათანხმებლად საჭირო წარმოსადგენი დოკუმენტაცია
\- არ საჭიროებს წარმოდგენას

შემსრულებელი:	ა. შაიშმელაშვილი	2011 წლის 28.[illegible]	გვ. №6

გრგ-ს გეგმარებითი დავალება	
განმცხადებელი:	შპს "ჰეფესტო"-ს დირექტორი ამირან ჟღენტი
საპროექტო ობიექტი:	საცხოვრებელი კომპლექსი
ობიექტის/ნაკვეთის მისამართი/მდებარეობა: ადგილმდებარეობა:	ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, თამარაშვილის ქუჩა 13 (საკად. კოდი №01.10.16.004.137, №01.10.16.004.134, №01.10.16.004.133, №01.10.16.004.110, №01.10.16.004.138;)

V. შენიშვნები:

1. გრგ-ს პროექტის შემადგენლობაში წარმოდგენილი იქნეს ტერიტორიის არსებული მდგომარეობის ამსახველი წინასაპროექტო კვლევის მონაცემები ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება №4-13-ით შეთანხმებული "ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" II თავის 8-ე მუხლისა და ამ გეგმარებითი დავალების მოთხოვნების შესაბამისად.

2. გრგ-ს საპროექტო დოკუმენტაცია შესათანხმებლად წარმოდგენილი იქნეს A3 ან A2 ფორმატის ალბომის სახით.

3. ამ გეგმარებითი დავალების IV მუხლის 7–17 პუნქტებში მითითებული მასალები წარმოდგენილი იქნეს ელექტრონული ვერსიის სახით CD დისკზე, AutoCAD 2007-ს ან ArchiCAD 11-ის ფორმატში. საკოორდინატო სისტემა უნდა შეესაბამებოდეს WGS 1984 UTM Zone 38N-s.

4. გრგ-ს წარმოსადგენ საპროექტო დოკუმენტაციას, მისი განხილვის მიზნით, აუცილებელია ახლდეს დოკუმენტაციის შინაარსის ამსახველი ელექტრონული ვერსია Power Point-ის ფორმატში CD დისკზე.

5. გრგ-ით მოცული ტერიტორიის უფლებრივი ზონირების დეტალურ რუკაზე დადგენილი და ასახული უნდა იქნეს:

- საპროექტო ტერიტორიის საზღვრები;
- მიწის ნაკვეთის საზღვრები;
- განაშენიანების რეგულირების ხაზები (წითელი ხაზები);
- შენობების მაქსიმალური დასაშვები სიმაღლეები – H;
- მიწის ნაკვეთების განაწილების რუკა (გამიჯვნის სქემა)
- განაშენიანების კოეფიციენტი კ1;
- განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ2;
- გამწვანების კოეფიციენტი კ3;
- ცალკეული მიწის ნაკვეთების ფუნქციური გამოყენება, სამანქანო გზები და ავტოსადგომები;

6. შენიშვნების მე-5 პუნქტის მასალებში აუცილებლად მითითებული იქნეს გაბარიტული ზომები.

7. გრგ-ს ტერიტორიის კონკრეტული უფლებრივი ზონირების დეტალური რუკა მზადდება 4 ეგზემპლარად.

შემსრულებელი:	ა. შაიშმელაშვილი	2011 წლის 28 [illegible]	გვ. №7

გრგ-ს გეგმარებითი დავალება	
განმცხადებელი:	შპს "ჰეფესტო"-ს დირექტორი ამირან ჟღენტი
საპროექტო ობიექტი:	საცხოვრებელი კომპლექსი
ობიექტის/ნაკვეთის მისამართი/მდებარეობა: ადგილმდებარეობა:	ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, თამარაშვილის ქუჩა 13 (საკად. კოდი №01.10.16.004.137, №01.10.16.004.134, №01.10.16.004.133, №01.10.16.004.110, №01.10.16.004.138;)

VI. დამატებითი მოთხოვნები

1. საპროექტო ტერიტორიის გრგ-ით დამუშავებულ საპროექტო დოკუმენტაციას დამკვეთი და დამპროექტებელი შესათანხმებლად წარადგენენ ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში.
2. წინამდებარე გეგმარებითი დავალება ძალაშია მისი გაცემის თარიღიდან ხუთი წლის განმავლობაში.
3. გეგმარებითი დავალება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში, (მის.: ქ. თბილისი 0160, ჟიული შარტავას ქუჩა №7), მისი გაცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

შეთანხმებულია:

ურბანული დაგეგმარების დეპარტამენტის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადების განყოფილების უფროსი /ნ. გვენცაძე/

შემსრულებელი:	ა. შაიშმელაშვილი	2011 წლის 28 აპრილი	გვ. №8

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსი არისი ბოჭოიძე

ბ. "თბილისის არქიტექტურის სამსახური"-ს ...ოსს ბატონ არისი ბოჭოიძეს

ორგანიზაცია:

ტელ. 599 20-11-39

ფოსტა-

ბ-6 / ქ-6

№ 12/137412

18 10 2011 წ. ა. ბოჭოიძე

თანახმა ვარ პასუხი მივიღო ელ. ფოსტით

თანახმა ვარ პასუხი მივიღო ფოსტით

გავიტან ხელზე

ხ ა დ ე ბ ა

...ნისა და გრგ-ს გეგმარებითი დავალების შესახებ)

მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები

დამატებითი ინფორმაცია:

აუცილებელი დოკუმენტაცია:

☑ საკადასტრო რუკა და/ან გეგმა (გაიცემა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლობის მიერ (მის.: შ. შარტავას ქ. №7. I სართული));

☑ მიწის ნაკვეთის ამსახველი ფოტომასალა;

☑ ტოპოგრაფიული რუკა 1:500 (ახალი ანაზომი) (მის დასამზადებლად შეგიძლიათ მიმართოთ კერძო ფირმას);

☑ სიტუაციური გეგმა მ. 1:2000 (მის დასამზადებლად შეგიძლიათ მიმართოთ კერძო ფირმას);

სახელმწიფო დაცვისა და ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონაში დამატებითი აუცილებელი დოკუმენტაცია:

☐ ისტორიულ-არქიტექტურულ-ანალიტიკური ინფორმაცია (კვლევა) (კვლევას, არსებული კანონმდებლობის საფუძველზე, ასრულებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი (ხელოვნებათმცოდნე));

დამატებითი დოკუმენტაცია:

☐ საპროექტო ობიექტის ესკიზური ვარიანტი („რენდერის", მოცულობის ელ. ვერსია JPEG) (მის დასამზადებლად შეგიძლიათ მიმართოთ კერძო ფირმას);

☐ საინფორმაციო აბრის (ბანერის) ფოტოსურათები (გადაღებული ახლო და შორი მანძილიდან) (მის დასამზადებლად შეგიძლიათ მიმართოთ კერძო ფირმას);

☐ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (გაიცემა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლობის მიერ (მის.: შ. შარტავას ქ. №7. I სართული));

☐ რეკონსტრუქციისას, დაშენების შემთხვევაში, საექსპერტო დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგომარეობის შესახებ (დასკვნას გასცემს შესაბამისი კვალიფიკაციისა და პასუხისმგებლობის მქონე ორგანიზაცია);

☐ აეროგადაღების ფოტოსურათი;

☐ სხვა

განმცხადებლის ხელმოწერა

თარიღი 17.10.2011 წ.

17-10 12/137412 43

ᲥᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ!

ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲜᲘ (ᲔᲠᲗᲘ ᲔᲒᲖᲔᲛᲞᲚᲐᲠᲘ) ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲒᲐᲡᲖᲔ ᲛᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲐᲠᲥᲘᲕᲨᲘ.

ᲗᲣ ᲐᲠ ᲒᲐᲥᲕᲗ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲓᲐᲠᲩᲔᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲔᲓᲜᲔᲑᲘ, ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲢᲐᲜᲘᲡᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲘᲜᲔᲗ ᲛᲐᲗᲘ ᲜᲝᲢᲐᲠᲘᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲡᲚᲘ.

ᲒᲗᲮᲝᲕᲗ ᲒᲐᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲝᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ,

ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ!

☐ ᲒᲐᲕᲔᲪᲐᲜᲘ .....

(ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐ)

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.10.16.004.188**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882014061985 - 07/02/2014 14:42:52

მომზადების თარიღი
10/02/2014 11:28:17

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	საბურთალო		
01	**10**	**16**	**004/188**

მისამართი: ქალაქი თბილისი , თამარაშვილის ქუჩა N13

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი:8400.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:**01.10.16.004.181; 01.10.16.004.180;**

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882011430960 , თარიღი 05/09/2011 17:27:51
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 13/09/2011

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- საქართველოს კანონი "ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ"
- განცხადება-თანხმობა N140083211 , დამოწმების თარიღი:31/01/2014 ,ნოტარიუსი ნ. ბაკურაძე
- საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ 2002 წლის 10 მაისს გაცემული N949-ი საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.
- სანოტარო წესით 2002 წლის 28 ივნისს დამოწმებული ნასყიდობის ხელშეკრულება (რეესტრის N1922/1, ნოტარიუსი ქ. ოდილავაძე).
- სანოტარო წესით 2003 წლის 21 აგვისტოს დამოწმებული ხელშეკრულება ერთობლივი საქმიანობის შესახებ (რეესტრის N1-660, ნოტარიუსი ე. ცხადაძე).
- ქ. თბილისის ტექ. ინვენტარიზაციის ბიუროს მიერ 1996 წლის 23 მაისს გაცემული ტექნიკური პასპორტი.
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1995 წლის 24 აგვისტოს N19.129.925. დადგენილება.
- ქ. თბილისის პრემიერის 1998 წლის 29 დეკემბრის N43 ბრძანება.
- ქ. თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 2002 წლის 7 ივნისის N6/634 მოწერილობა.
- ქ. თბილისის არქიტექტურის და პერსპექტიული განვითარების სამსახურის მიერ 2002 წლის 3 ივნისს გაცემული კორექტირებელი მიწის ნაკვეთის გეგმა.
- სანოტარო წესით 2005 წლის 27 იანვარს დამოწმებული მიღება-ჩაბარების აქტი (რეესტრის N1-651, ნოტარიუსი ნ. გინტური).
- სანოტარო წესით 2005 წლის 26 ნოემბერს დამოწმებული ნასყიდობის ხელშეკრულება (რეესტრის N1-2744, ნოტარიუსი პ. შენგელაია).
- სანოტარო წესით 2006 წლის 4 აგვისტოს დამოწმებული უძრავი ქონების საწესდებო კაპიტალში შეტანის და გამოჯვნის ხელშეკრულება (რეესტრის N1-3029, ნოტარიუსი პ. შენგელაია).
- შპს "ჟოკეი კლუბი"-ს პარტნიორთა კრების ოქმი. N110837615 , დამოწმების თარიღი:10/08/2011 ,ნოტარიუსი ც. ბერიძე
- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება N140043989 , დამოწმების თარიღი:20/01/2014 ,ნოტარიუსი ნ. ბაკურაძე
- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება. , დამოწმების თარიღი:03/12/2009 , საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება N111164652 , დამოწმების თარიღი:24/10/2011 ,ნოტარიუსი ც. ბერიძე

მესაკუთრეები:
შპს "ჰეფესტო" , ID ნომერი:404908864

მესაკუთრე: **აღწერა:**

შპს "ჰეფესტო"

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

- საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა: **102013296796 19/11/2013 12:39:36**
  შ\პ\ს შპს ჰეფესტო ს/ნ 404908864
  საგანი: **მთელი ქონება, მთელი ქონება**
  საფუძველი: **შეტყობინება, N00628410, 19.11.2013, შემოსავლების სამსახური**

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: http://public.reestri.gov.ge ან დაგვიკავშირდეთ: 2 405 405; 595 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე სარეგისტრაციო სამსახურში ,"ლიბერთი ბანკის" ნებისმიერ ფილიალში ან "პრივატბანკის" სწრაფი გადახდის აპარატიდან.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: *01.10.16.004.188*
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882014061985
მიწის ნაკვეთის ფართობი: *8400* კვ.მ.
დანიშნულება: *არასასოფლო-სამეურნეო*
მომზადების თარიღი 10.02.14



01/2 შენობა-ნაგებობა, პირობითი ნომერი/სართულიანობა
ვალდებულება
ხაზობრივი ნაგებობა
მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი
მშენებარე ნაგებობა
მიწისქვეშა ნაგებობა
UTM (საერთაშორისო) სისტემის კოორდ.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო თბილისი 0102 წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2 ტელ.: (995 32) 91 04 27; ფაქსი: (995 32) 91 03 41
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო თბილისი დ. აღმაშენებლის გამზ. 89/24 ტელ: (995 32) 94 13 65
www.napr.gov.ge

ტექნიკური დავალება

საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ჩასატარებლად

ობიექტის დასახელება – მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები.

დამკვეთი – შპს „დომუს დეველოპმენტი“.

ობიექტის მდებარეობა – ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, თამარაშვილის ქ. №13. ყოფილი იპოდრომის განაპირა ჩრდილოეთი ნაწილი. საჯინიბოების განლაგების ტერიტორია.

დაპროექტების სტადია – სამუშაო დოკუმენტაცია.

მშენებლობის ტიპი – ახალი.

დასაპროექტებელი შენობები მრავალსართულიანია, სარდაფის სართულებით. პირველი სართულების იატაკის საპროექტო ნიშნულები მიბმული იქნება გეგმარებით ნიშნულებთან (დაზუსტდება მოგვიანებით).

საძირკვლის ტიპი – ტერიტორიის გეოლოგიური პირობებიდან გამომდინარე (სავარაუდოდ ფილა ან ხიმინჯოვანი).

საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ტექნიკური დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნეს აკინძული, 2 ეგზემპლარად და ელექტრონულ ვერსიაში.

დანართი: ტერიტორიის ტოპოგეგმა 1:500 მასშტაბში.

დავალება გასცა ალ. კორძახია

ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. №13-ში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისთვის ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები

შპს „დომუს დეველოპმენტი“-ს დაკვეთით (დაკვეთა №73/2013), შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტის” საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილებამ, 2013 წლის აპრილში, ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. №13-ში, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის უბანზე, ჩაატარა საინჟინრო გეოლოგიური კვლევა.

კვლევის მიზანს შეადგენდა მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესწავლა და დასაპროექტებელი შენობების დაფუძნების საკითხის გადაწყვეტა.

მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის ადგილმდებარეობა მოცემულია დართულ ტექნიკურ დავალებაში.

გამოყოფილი ტერიტორიის მიმდებარედ, წინა წლებში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისთვის, აღნიშნული განყოფილების მიერ ჩატარებულია საინჟინრო გეოლოგიური კვლევები, რომელთა მასალები დაცულია განყოფილების არქივში და გამოყენებულია წინამდებარე დასკვნის შედგენისას.

ზემოაღნიშნული მიზნების გადასაწყვეტად, მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სნ და წ 1.02.07-87, პნ 02.01-08) მოთხოვნების გათვალისწინებით, თვითმავალი საბურღი დანადგარით „უგბ-1ვს“, მექანიკური სვეტური მეთოდით, 160 მმ-მდე დიამეტრით, მშრალი წესით, შემოკლებული რეისებით, კერნის უწყვეტი ამოღებით, გაიბურღა 9 ჭაბურღილი, სიღრმით 15÷38 მ.

შესრულებული ბურღვითი სამუშაოების მთლიანი მოცულობა შეადგენს 201,0 გრძივ მეტრს.

უბანზე გავრცელებული გრუნტებიდან, ლაბორატორიული შესწავლისთვის აღებულია დაურღვეველი სტრუქტურის 44 ნიმუში, აქედან 38 ნიმუში აღებულია თიხოვანი გრუნტებიდან, ხოლო 6 ნიმუში ძირითადი ქანებიდან.

გრუნტის წყლის რკინაბეტონის კონსტრუქციების მიმართ სულფატური აგრესიულობის განსასაზღვრავად, აღებულია წყლის 3 სინჯი.

თიხოვანი გრუნტების და წყლის სინჯების ლაბორატორიული შესწავლა ჩატარდა განყოფილების გეოტექნიკურ ლაბორატორიაში. შედეგები ერთვის დასკვნას.

ძირითადი ქანების ლაბორატორიული გამოცდები ჩატარდა გრ. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის ინსტიტუტის ლაბორატორიაში. გამოცდების მასალები ინახება განყოფილების არქივში, შედეგები მოცემულია ქვემოთ.

ტოპოსაფუძვლად გამოყენებულია დამკვეთის მიერ გადმოცემული 1:500 მასშტაბის ტოპოგეგმა, რომლის მიხედვით შესრულდა ჭაბურღილების გეგმურ-სიმაღლითი მიბმა და გეოლოგიური ჭრილების აგება.

სამშენებლო მოედანი მდებარეობს ყოფილი იპოდრომის ტერიტორიაზე, თამარაშვილის ქუჩის მხარეს არსებული შესასვლელიდან 150–200 მ-ის მანძილზე. უბნის ფარგლებში, მის ჩრდილო ნახევარში, ამჟამად არსებობს ყოფილი კოტეჯების ნანგრევები, ხოლო სამხრეთ ნაწილში – ყოფილი ავტოტექმომსახურების უმოქმედო ერთსართულიანი დასანგრევი შენობა.

გეომორფოლოგიურად საკვლევი ტერიტორია წარმოადგენს დელისის დეპრესიის ჩრდილო პერიფერიულ ნაწილს, სამხრეთ აღმოსავლეთისკენ დამრეცად დახრილი ზედაპირით.

რელიეფის ზედაპირის ნიშნულები, სამშენებლო მოედნის საზღვრებში, მერყეობენ 467,00–469,3 მ-ის ფარგლებში.

ჩატარებული საველე სამუშაოების მონაცემების საფუძველზე, შედგენილია ჭაბურღილების გეოლოგიურ-ლითოლოგიური სვეტები და ტერიტორიის განივი და გრძივი გეოლოგიური ჭრილები.

როგორც წარმოდგენილი ჭრილებიდან ჩანს, საკვლევი ტერიტორიის უბნის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობენ:

მიწის ზედაპირიდან 0,8–1,9 მ-ის სიღრმემდე – ტექნოგენური (tQ_{IV}) გრუნტი – ნაყარი, წარმოდგენილი თიხნარის, ღორღის, კენჭების და სამშენებლო ნაგვის ნარევით, სუსტად შეკავშირებული (ფენა 1).

ნაყარის ქვეშ, 0,8–1,9 მ-ის სიღრმიდან 10,8–28,0 მ-ის სიღრმემდე, გავრცელებულია დელუვიური გენეზისის (dQ_{IV}), ღორღის და ხვინჭის იშვიათი ჩანართებიანი ღია ყავისფერი თიხნარები. თიხნარების კონსისტენცია ძირითადად რბილპლასტიკურია და ჭრილში გამოყოფილია ფენა 2-ით, სიღრმის ცალკეულ ინტერვალებში აღინიშნება ძნელპლასტიკური კონსისტენციაც და ჭრილებზე გამოყოფილია ფენა $2^{|}$-ით.

თიხნარებში გავრცელებულია თიხისა და ქვიშნარის თხელი შუაშრეები.

თიხნარები, 10,8–18,8 მ-ის სიღრმიდან, შემოფენილია ზედა ეოცენის (P_2^3) ძირითადი ქანებით, წარმოდგენილი თიხოვანი ქვიშაქვების და არგილითების დასტების მორიგეობით. გაყვანილი ჭაბურღილების მიხედვით ქვიშაქვების და

არგილითების შრეების შემცველობა მასივში დაახლოებით თანაბარია (ზოგან ჭარბობს ქვიშაქვები, ზოგან არგილითები).

ძირითადი ქანები ეროზიული ზედაპირიდან 0,7÷2,5 მ-ის სიღრმემდე, ძლიერ გამოფიტულია (ფენა 4), სიღრმეში – ნაკლებად გამოფიტული (ფენა 5).

გამონაკლისს წარმოადგენს უბნის სამხრეთი ნაწილი, სადაც თიხნარების ქვეშ 19–28 მ-ის შემდეგ გავრცელებულია ჭაობისებური, ძნელპლასტიკური კონსისტენციის მოლურჯო ფერის თიხები (ფენა 3). თიხები ჭაბურღილებით გაიკვეთა მიწის ზედაპირიდან 38 მ-მდე. მოსალოდნელია მათი გაგრძელება სიღრმეშიც.

ჰიდროგეოლოგიური თვალსაზრისით საკვლევი უბანი ხასიათდება გრუნტის წყლების გავრცელებით, რომელთა გამოვლინება დაფიქსირებულია 3,0–4,5 მ-ის სიღრმეზე მიწის ზედაპირიდან, ხოლო დამყარების დონე 2,0–2,7 მ-ია.

გენეტიკურად გრუნტის წყალი წარმოადგენს ატმოსფერული ნალექების გრუნტში ჩაჟონვის შედეგს, რომელსაც ერევა წყალშემცავი კომუნიკაციებიდან განაჟონი წყლებიც.

გრუნტის წყლის დონის ცვალებადობის ამპლიტუდად მიღებული იქნეს ±0,5 მ დამყარების დონეებთან შედარებით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, უბანზე გავრცელებული თიხოვანი გრუნტიდან აღებული და ლაბორატორიულად შესწავლილია დაურღვეველი სტრუქტურის 38 ნიმუში.

ლაბორატორიაში განისაზღვრა გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების სრული კომპლექსი. შედეგები ერთვის დასკვნას კრებსითი ცხრილის, კომპრესიული და ძვრაზე გამოცდების გრაფიკების სახით.

ქვემოთ, ცხრილ 1-ში, მოსახერხებელი გამოყენებისათვის, მოცემულია თიხოვანი გრუნტის ძირითადი ფიზიკური მახასიათებლების ცვალებადობის დიაპაზონი და მათი საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები.

ცხრილი 1

№№	ფიზიკური მახასიათებლები			განზ.	მიღებული სიდიდეების ცვალებადობის დიაპაზონი			საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობა		
					ფენა 2	ფენა 2′	ფენა 3	ფენა 2	ფენა 2′	ფენა 3
1	პლასტიკურობის რიცხვი		I_p	–	0,12–0,17	0,12–0,17	0,19–0,23	0,15	0,15	0,21
2	ტენიანობა		W	%	24,6–32,0	23,9–25,9	24,9–28,6	27,9	24,8	26,3
3	სიმკვრივე	გრუნტის	ρ	გ/სმ³	1,82–1,91	1,85–1,94	1,92–1,97	1,86	1,90	1,95
		მშრალი გრუნტის	ρ_d		1,42–1,52	1,47–1,55	1,52–1,56	1,46	1,52	1,54
		გრუნტის ნაწილაკების	ρ_s		2,70	2,70	2,72	2,70	2,70	2,72
4	ფორიანობა		n	%	43,6–47,3	42,6–44,1	42,6–44,3	46,1	43,6	43,3
5	ფორიანობის კოეფიცი-ენტი		e	–	0,733–0,896	0,741–0,837	0,742–0,794	0,856	0,772	0,764
6	დენადობის მაჩვენებელი		I_L	–	0,51–0,72	0,26–0,46	0,26–0,40	0,60	0,35	0,30
7	ტენიანობის ხარისხი		S_r	–	0,79–0,98	0,82–0,91	0,88–0,98	0,88	0,87	0,93

როგორც ცხრილიდან ჩანს, პლასტიკურობის რიცხვის საშუალო მნიშვნელობების მიხედვით, გამოკვლეული გრუნტები ფენა 2 და 2′ – მიეკუთვნება თიხნარს, ხოლო ფენა 3 – თიხას.

თიხნარების კონსისტენცია ძირითადად რბილპლასტიკურია (ფენა 2), აღინიშნება ძნელპლასტიკური კონსისტენციაც (ფენა 2′), ხოლო თიხების კონსისტენცია ძნელპლასტიკურია (ფენა 3).

სამივე ფენის გრუნტები სრულად წყალგაჯერებულია ($\overline{Sr}$ >0,8).

ცხრილში მოცემული საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები, საჭიროებისას, გამოიყენება საანგარიშოდ.

გრუნტის სიმკვრივეებისათვის, რადგანაც იგი შედის ფუძის ანგარიშის ფორმულაში, შესრულდა სტატდამუშავება, რომლებიც ერთვის დასკვნას №№1, 2 და 3 დანართების სახით, ხოლო საანგარიშო მნიშვნელობები მოცემულია დასკვნით ნაწილში.

რბილპლასტიკური კონსისტენციის თიხნარებისთვის (ფენა 2) ჩატარდა 7 კომპრესიული და 7 ძვრაზე გამოცდა. გამოცდები ჩატარდა ბუნებრივი სიმკვრივის და ტენიანობის მდგომარეობაში.

კომპრესიული გამოცდები ჩატარდა P=0,5 კგძ/სმ^2 დატვირთვების საფეხურებით, P=4,0 კგძ/სმ^2-მდე.

ქვემოთ, ცხრილ 2-ში მოცემულია გრუნტის (ფენა 2) ჯდენის მოდულის (ℓp) მნიშვნელობები P=3,0 კგძ/სმ^2 დატვირთვისას (დატვირთვა, რომლის დროსაც ფასდება გრუნტის კუმშვადობა ℓp–ს მიხედვით), აგრეთვე დეფორმაციის მოდულის მნიშვნელობები P=1,0–2,0 კგძ/სმ^2 დატვირთვის ინტერვალში.

ცხრილი 2

№№	ჭაბ.. №№	ნიმუშების აღების სიღრმე, h მ	გრაფიკის №	ჯდენის მოდული ℓp მმ/მ P=3,0 კგძ/სმ^2	დეფორმაციის მოდული E კგძ/სმ^2 P=1,0÷2,0 კგძ/სმ^2
1	ჭაბ. №1	5,0	1	56	$\frac{77+125+129}{3}=110$
2	ჭაბ. №5	5,0	2	44	$\frac{114+171+210}{3}=165$
3	ჭაბ. №5	8,0	3	40	$\frac{106+146+180}{3}=144$
4	ჭაბ. №7	5,0	4	54	$\frac{83+125+150}{3}=119$
5	ჭაბ. №7	9,5	5	45	$\frac{86+138+165}{3}=130$
6	ჭაბ. №8	5,0	6	41	$\frac{86+138+165}{3}=130$
7	ჭაბ. №8	10,0	7	46	$\frac{103+150+210}{3}=154$
საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები				46	136

როგორც ცხრილიდან ჩანს, თიხნარი (ფენა 2) მიეკუთვნება მომეტებულად კუმშვადის კატეგორიას ($\overline{\ell p}_{3,0}$=46 მმ/მ და 20–60 მმ/მ-ის დიაპაზონშია).

ჯდენის მოდული სხვა დატვირთვებზე, შეიძლება აღებული იქნეს კომპრესიული გამოცდების გრაფიკებიდან და გამოიყენება საანგარიშოდ.

ცხრილში მოცემული თავისუფალი დეფორმაციის მოდულის საშუალო მნიშვნელობა გამოიყენება საანგარიშოდ.

ძვრაზე გამოცდები ჩატარდა P=1,0–1,5–2,0 კგძ/სმ^2 დატვირთვებისას.

მიღებულია შემდეგი მნიშვნელობები:

– შინაგანი ხახუნის კუთხე φ=15–18°.

– ხვედრითი შეჭიდულობა c=16–24 კპა (0,16–0,24 კგძ/სმ^2).

ვინაიდან სიმტკიცის მახასიათებლები შედის ფუძის გაანგარიშების ფორმულაში, სტანდარტი 20522-75 მეთოდიკის შესაბამისად, ჩატარდა თიხნარი გრუნტის (ფენა 2) ცდებით განსაზღვრული მნიშვნელობების სტატისტიკური

დამუშავება და მიღებულია ამ სიდიდეების ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობები. შედეგები ერთვის დასკვნას დანართი №4-ის სახით, ხოლო მიღებული მნიშვნელობები მოცემულია დასკვნით ნაწილში.

როგორც აღინიშნა, ძირითადი ქანებიდან აღებული იყო დაურღვეველი სტრუქტურის 6 ნიმუში. ნიმუშები აღებულია ძირითადი ქანების ნაკლებად გამოფიტული ფენიდან (ფენა 5). გამოცდები ჩატარდა გრ. წულუკიძის სამთო მექანიკის ინსტიტუტის ლაბორატორიაში. ძირითად ქანებზე განისაზღვრა – სიმკვრივე, სიმტკიცის ზღვრები ერთღერძა კუმშვაზე მშრალ და წყალგაჯერებულ მდგომარეობაში და დარბილებადობა.

მასალები ინახება განყოფილების არქივში, შედეგები მოცემულია ქვემოთ ცხრლ 3-ში.

ცხრილი 3

გრუნტის დასახელება	ჭაბ. №№	ნიმუშების აღების სიღრმე h მ	სიმკვრივე ρგ/სმ³	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე R_c მპა (კგძ/სმ²)		დარბილებადობის კოეფიციენტი k_{sof}
				მშრალ მდგომარეობაში	წყალნაჯერ მდგომარეობაში	
ქვიშაქვა (ფენა 5)	ჭაბ.№1	21,0	2,30	29 (290)	17 (170)	0,59
	ჭაბ.№2	21,0	2,34	29 (290)	22 (220)	0,56
	ჭაბ.№5	21,0	2,36	36 (360)	20 (200)	0,56
საშუალო სიდიდეები			2,33	31,3 (313)	19,7 (197)	0,57
არგილითი (ფენა 4)	ჭაბ.№1	20,0	2,00	9 (90)	5 (50)	0,56
	ჭაბ.№2	20,0	2,22	12 (120)	6 (60)	0,50
	ჭაბ.№6	13,0	2,24	14 (140)	7 (70)	0,50
საშუალო სიდიდეები			2,15	11,7 (117)	6 (60)	0,50

როგორც ცხრილიდან ჩანს, ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში სიმტკიცის ზღვრის საშუალო მნიშვნელობების მიხედვით ძირითადი ქანების მდგენელი ფენები, პნ 02.01-08 დანართი 1-ის ცხრილი 1-ის თანახმად მიეკუთვნებიან:

ქვიშაქვა – საშუალო სიმტკიცის დარბილებად კლდოვან გრუნტს ($\overline{R_c}$ =19,7 მპა),

არგილითი – მცირე სიმტკიცის დარბილებად კლდოვან გრუნტს ($\overline{R_c}$ =6,0 მპა).

ვინაიდან ლაბორატორიული გამოცდები ტარდება კერნიდან გამოჭრილ მცირე ზომის ნიმუშებზე, რომლებიც ხშირ შემთხვევაში არ იძლევა რეალურ სურათს ძირითადი ქანების მთლიანი მასივისათვის, მათი ბუნებრივი წოლის თავისებურებების გათვალისწინებით (შრეობრიობა და შრეების დახრა,

ნაპრალიანობა), ამიტომ სიმტკიცის ზღვრის ნორმატიულ მნიშვნელობად ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში ვიღებთ მის კორექტირებულ მნიშვნელობას $R_{c,n}$=900 კპა (90,0 კგძ/სმ^2).

როგორც გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზის შედეგებიდან ჩანს, გამოკვლეული წყალი-გარემო, დასაპროექტებელი კონსტრუქციების ბეტონების მიმართ, ამჟღავნებს სულფატური აგრესიულობის შემდეგ თვისებებს:

1. პორტლანდცემენტის სტანდარტი 10178-76 გამოყენებისას:
   ა) ძლიერ აგრესიულია W_4 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონის მიმართ;
   ბ) საშუალოდ აგრესიულია W_6 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონის მიმართ;
   გ) არააგრესიულია W_8 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონის მიმართ.
2. პორტლანდცემენტის სტანდარტი 10178–76 კლინკერში ჩანართებით C_3S არაუმეტეს 65%, C_3A არაუმეტეს 7 %, $C_3A + C_4AF$ არაუმეტეს 22 %, წიდაპორტ-ლანდცემენტის და, აგრეთვე, სულფატმდგრადი სტანდარტი 22266-76 ცემენტების გამოყენებისას, არააგრესიულია W_4-W_6-W_8 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონების მიმართ.
3. არმატურის მიმართ:
   ა) არ არის აგრესიული წყლის გარემოში მუდმივად ყოფნის დროს;
   ბ) საშუალოდ აგრესიულია წყლის გარემოში პერიოდულად ყოფნის დროს.

დასკვნები და რეკომენდაციები

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

1. საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორია დამაკმაყოფილებელ პირობებშია, ვინაიდან აქ არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები არ აღინიშნება. არახელსაყრელ ფაქტორად ჩაითვლება აქტიური ზონის ფარგლებში რბილპლასტიკური კონსისტენციის თიხოვანი გრუნტის არსებობა სეისმური თვისებების თვალსაზრისით (III კატეგორიის გრუნტი I_L>0,5).

საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სნ და წ 1.02.07-87 მე-10 დანართის თანახმად, ტერიტორია მიეკუთვნება II კატეგორიას (საშუალო სირთულის).

2. მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის გეოლოგიურ-ლითოლოგიურ ჭრილში გამოიყოფა 5 საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი **(სგე)**:

I სგე – რბილპლასტიკური კონსისტენციის თიხნარი (ფენა 2);

II სგე – ძნელპლასტიკური კონსისტენციის თიხნარი (ფენა 2|);

III სგე – ძნელპლასტიკური კონსისტენციის თიხა (ფენა 3);

IV სგე – ძლიერ გამოფიტული ძირითადი ქანი (ფენა 4);

V სგე – ნაკლებად გამოფიტული ძირითადი ქანი (ფენა 5).

ტექნოგენური გრუნტი (ფენა 1) ფუძედ არ იქნება გამოყენებული და მას ცალკე **სგე**-ად არ გამოვყოფთ.

3. დასაპროექტებელი შენობის ფუძე-გრუნტად, ტერიტორიის გეოლოგიური აგებულებიდან გამომდინარე, შეიძლება გამოყენებული იქნეს I და V საინჟინრო გეოლოგიური ელემენტის გრუნტები (ფენები 2 და 5).

I სგე-ის გრუნტზე დაფუძნებისას საძირკვლის ვარიანტად გამოყენებული უნდა იქნეს რკინაბეტონის ფილის საძირკველი.

V სგე-ის გრუნტზე დაფუძნებისას, რომელიც ძირითადად გამოვლენილია ტერიტორიის ჩრდილო ნახევარ ნაწილში, საძირკვლის ვარიანტად შეიძლება გამოყენებული იქნეს ბურღვით-ნატენი საყრდენი ხიმინჯები.

4. დასაპროექტებელი შენობის საძირკვლებიდან ფუძე-გრუნტზე გადაცემული დატვირთვების გრუნტის საანგარიშო წინაღობის გადაჭარბებისას (განსაზღვრული მე-7 ფორმულით), ფუძეში გამოყენებული უნდა იქნეს ფენობრივად (0,20–0,25 მ) შემკვრივებული ხრეშ-კენჭნარის ბალიში – ხელოვნური ფუძე. ბალიშის სისქე განისაზღვრება ანგარიშებით. ხელოვნური ფუძის გამოყენება რეკომენდებულია სეისმური თვალსაზრისით ფუძეში III კატეგორიის გრუნტის არსებობისას (სნ და წ 2.02.01-83 პ. 10.6-ის რეკომენდაცია).

5. ქვემოთ, ცხრილ 4-ში მოცემულია ხუთივე სგე-ის გრუნტის საანგარიშო ნორმატიული მახასიათებლები, მიღებული ლაბორატორიული

ცხრილი 3

№ №	ბრუნტის მახასიათებელი			საანგარიშო მნიშვნელობები				
				I სბე (ფ. 2)	II სბე (ფ. 2ˡ)	III სბე (ფ. 3)	IV სბე (ფ. 4)	V სბე (ფ. 5)
1	სიმკვრივე, ρ გ/სმ³	II ზღვრული მდგომარეობა (ფუძის ანგარიში დეფორმაციაზე)	$\frac{\rho_{\parallel}^{1}}{\rho_{\parallel}^{2}}$	$\frac{1.87}{1.85}$	$\frac{1.92}{1.88}$	$\frac{1.96}{1.94}$	–	–
		I ზღვრული მდგომარეობა (ფუძის ანგარიში მზიდუნარიანობაზე)	$\frac{\rho_{|}^{1}}{\rho_{|}^{2}}$	$\frac{1.87}{1.85}$	$\frac{1.93}{1.87}$	$\frac{1.97}{1.93}$	–	–
		ნორმატიული მნიშვნელობა	$\rho_{ნ}$	1,86	1,90	1,95	2,10	2,30
2	ხვედრითი შეჭიდულობა c კპა(კგძ/სმ²)	II ზღვრული მდგომარეობა	$c_{\parallel}$	14(0,14)	–	–	–	–
		I ზღვრული მდგომარეობა	$c_{|}$	10(0,10)	–	–	–	–
		ნორმატიული მნიშვნელობა	$c_{ნ}$	19(0,19)	23(0,23)	43(0,43)	–	–
3	შინაგანი ხახუნის კუთხე, φ°	II ზღვრული მდგომარეობა	$\varphi_{\parallel}$	15	–	–	–	–
		I ზღვრული მდგომარეობა	$\varphi_{|}$	13	–	–	–	–
		ნორმატიული მნიშვნელობა	$\varphi_{ნ}$	17	21	17	–	–
4	დეფორმაციის მოდული, E მპა (კგძ/სმ²)			14(140)	15(150)	18(180)	30(300)	–
5	პირობითი საანგარიშო წინაღობა R_0 კპა (კგძ/სმ²)			180(1.8)	200(2.0)	250(2.5)	400(4.0)	–
6	სიმტკიცის ზღვრის ნორმატიული მნიშვნელობა ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $R_{c,n}$ კპა (კგძ/სმ²)			–	–	–	–	9000 (90)
7	საგების კოეფიციენტი, k კგ/სმ³			2,0	2,5	32,0	6,0	100,0
8	პუასონის კოეფიციენტი, μ			0,35	0,35	0,42	0,27	0,25
9	ფილტრაციის კოეფიციენტი k_f მ/დღ.ღ.			<0,01	<0,01	<0,01	–	–

შენიშვნა: ხიმინჯოვანი საძირკვლების გამოყენებისას, ხიმინჯის შემომფენავი
